



ჟურნალისტიკის რესურს ცენტრი

Journalism Resource Center

საქართველო, თბილისი, წყნეთის გზატკეცილი 16/18 ბ.94 Chkveti av. 16/18 f.94 Georgia, Tbilisi

Tel. +995 5 93 40 87 81 Email: jrcgeorgia@gmail.com

ჟურნალისტური ეთიკის ქარტიას
ჟურნალისტიკის რესურს ცენტრის
განცხადება

22 დეკემბერს „იბერია TV“ საინფორმაციო გამოშვებაში გადაცემული რეპორტაჟის თაობაზე

<https://www.facebook.com/iberiatv/videos/1274006602663695/>

„პასპორტი ღორებისთვის? - ახალი დადგენილების გამო მთავრობა კვლავ მედიის ყურადღების ცენტრში მოექცა“

მივიჩნევთ რომ:

დარღვეულია ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის შემდეგი პრინციპები:

1. ჟურნალისტმა პატივი უნდა სცეს სიმართლეს და საზოგადოების უფლებას – მიიღოს ზუსტი ინფორმაცია.
3. ჟურნალისტმა არ უნდა მიჩქმალოს მნიშვნელოვანი ფაქტები, არ უნდა გააყალბოს დოკუმენტები და ინფორმაცია.

აღწერილობითი ნაწილი:

რეპორტაჟი ეხება პირუტყვის რეგისტრაციის პროცესს, რაც საქართველოში ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულებით დადებული ვალდებულებების შესაბამისად 2015 წლიდან დაიწყო. შინაური მსხვილფეხა და წვრილფეხა პირუტყვის იდენტიფიკაცია-რეგისტრაცია ე.წ. „მინდვრიდან სუფრამდე“ სურსათის უვნებლობის მნიშვნელოვანი ნაწილია და მის ეფექტურ განხორციელებაზეა დამოკიდებული არა მხოლოდ ასოცირების ხელშეკრულებით გთვალისწინებული ვალდებულებების შესრულება, არამედ ადამიანთა ჯანმრთელობის ხელშეწყობა საქართველოში, დაავადებათა პრევენცია, ეპიზოოტოლოგია და სხვა ძირეულად საყურადღებო საკითხები. რეგულაცია მნიშვნელოვანია სურსათის უვნებლობის უზრუნველყოფისთვის, მომხმარებელთა უფლებების დაცვისა და საექსპორტო შესაძლებლობების ზრდისთვის. თუმცა არც ერთ ამ დეტალზე რეპორტაჟში საუბარი არ არის, რედაქცია ცდილობს თემას სენსაციურობის ელფერი შესძინოს, მასალა გამოირჩევა ირონიულობით, ცინიზმით და ნაკლებად ისახავს მიზნად მოსახლეობის ინფორმირებას.

რეგისტრაციის პროცესს ჟურნალისტი „პასპორტიზაციას“ უწოდებს, იმის მიუხედავად, რომ არსად შესაბამის დადგენილებაში მსგავსი ტერმინი გამოყენებული არ არის. რჩება შთაბეჭდილება, რომ ჟურნალისტი და რედაქცია ცდილობს გამოგონილი ტერმინის დამკვიდრებას, რომ პროცესი უფრო არასერიუზულად წარმოაჩინოს.

რეპორტაჟის არც ერთი რესპონდენტი არ არის შესაბამისი წყარო, რომელსაც შეუძლია რეგისტრაციის გადაწყვეტილების შინაარსსა და საჭიროებაზე გასცეს ჟურნალისტს პასუხი. მასალის დიდი ნაწილი ეთმობა ე.წ. ვოქს-პოპს, მოსახლეობის, უმეტესად არაინფორმაცირებული მოქალაქეების გამოკითხვას, მეორე ნაწილში კი ასევე არაინფორმირებული პარალმენტარები არიან ჩაწერილნი, ერთ-ერთი მათგანი - გუგული მალრადე, რეპორტაჟშივე ითხოვს რომ საკითხთან დაკავშირებით ჟურნალისტებმა საკითხის „პროფესიონალები“ ჩაწერონ. იმის მიუხედავად, რომ დადგენილება მთავრობის მიღებულია რასაც რეპორტაჟშივე აღნიშნავენ). არც ერთი პირი სამთავრობო სტრუქტურებიდან ჩაწერილი არ არის, ასევე არ არის ჩაწერილი საკითხის მცოდნე დამოუკიდებელი პირები, ორგანიზაციები. მასალაში არ ჩანს მცდელობა დადგენილების შინაარსისა და საჭიროების მოკვლევის, რომ მოსახლეობას შესაბამისი ინფორმაცია მიაწოდონ.

ავტორი კონტექსტიდან ამოგლეჯილად საუბრობს „დადგენილების ერთ-ერთ პუნქტზე“ რომლის თანახმად თურმე უპასპორტო ღორის ჩამორთმევა და დაკვლა შეუძლია სურსათის უვნებლობის სამსახურს, თან არც ამ სამსახურიდან უცდია რედაქციას კომენტარის აღება მითუმეტეს, რომ იგივე დადგენილების მეორე პუნქტშივე საქმიანობის განმხორციელებლად სწორედ ეს სააგენტოა ნახსენები.

რეპორტაჟი ავრცელებს მცდარ მოსაზრებას, თითქოს „არაპასპორტიზირებულ“ ღორებს ინდივიდუალურ ფერმერებს ჩამოართმევენ, ასევე თითქოს მოსახლებას პრობლემები შეიქმნება საახალწლოდ ღორის ან გოჭის დაკვლასთან დაკავშირებით (რასაცერთ-ერთი რესპონდენტის - ზაქარია ქუცნაშვილის კომენტარიც აძლიერებს), აღნიშულს რედაქცია სჩადის იმ ფონზე, როცა სავარაუდოდ კარგად იცის, რომ დადგენილება, რომელსაც ეხება რეპორტაჟი, არ ვრცელდება იმ ფიზიკურ პირზე, რომელსაც ყავს პირუტყვი პირადი მოხმარებისთვის.

რეპორტაჟში მთავრობის მიმართ ისმის შეურაცხმყოფელი გამონათქვამები: „უტვინოები“ „დებილები“

გამოკითხული მოსახლეობა რეპორტაჟშივე სვამს კითხვებს - სად ვიარო? ვის მივმართო? მაგრამ არც ერთ ამ კითხვაზე რეპორტაჟში პასუხის მიღების მცდოლობაც არ არის.

ჟურნალისტი მნიშვნელოვან დადგენილებას საკუთარ ტექსტში მოიხსენიებს, როგორც „კომიკურ დადგენილებას“. ჩანს რომ რედაქციის ერთადერთ მიზანს თემისთვის სენსაციურობის შექმნა და მაყურებლის გაქობა წარმოადგენს, მეტი რეიტინგის მისაღწევად.

მივიჩნევთ რომ:

რედაქციამ ასევე უხეზად დაარია მაუწყებელთა კოდექსის რამდენიმე პრინციპი:

1. ჯეროვანი სიზუსტე, რომლის მიხედვით „ახალი ამბები და ფაქტებზე დაფუძნებული ინფორმაცია მიეწოდება მიუკერძოებლად და ჯეროვანი სიზუსტით.“

2. მიუკერძოებლობა:

„მაუწყებელი ვალდებულია ერთმანეთისაგან მკაფიოდ გამიჯნოს ფაქტი და კომენტარი. თავიდან უნდა იყოს აცილებული მოსაზრებათა ცალმხრივი ინტერპრეტაცია.“

3. სამართლიანი მოპყრობა

მაუწყებელი ვალდებულია ჯეროვანი სამართლიანობისა და პატივისცემის დაცვით მოეპყროს ყველა ფიზიკურ და იურიდიულ პირს.

საკონტაქტო პირი:

ნუგზარ სუარიძე

599159423